ხალხისმტერი

ივნისი 13 1996

კავკასიონი

© ყოველდღიური გაზეთი № 103 (397)

The KAVKASIONI

ფასი 40 თეთრი

რუსი და ქართველი სამხედროები ბჭობენ

მოსკოვში მიმდინარეობს მოლაპარაკებები საქართველოსა და რუსეთის თავდაცვის ორგანოებს შორის, ქართულ დელეგაციას თავდაცვის მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძე ხელმძღვანელობს. 11 ივნისის შეხვედრაზე განიხილეს სამხედრო თანამშრომლობის სფეროს რიგი საკითხები. ასევე განიხილეს აფხაზეთში განლაგებული საშვიდობო ძალების ახალი მანდატის პროექტი.

BS-PRESS

მრავალცოლიანობა — ადამიანის უფლებათა დაცვა აფხაზურად

რუსეთის საინფორმაციო საშუალებათა ცნობით, აფხაზეთში დემოგრაფიული პრობლემის გადაწყვეტას მრავალცოლიანობის დაკანონებით აპირებენ. ამჟამად აფხაზეთის თვითმარქვია ხელისუფლების მაღალ ეშელონებში აზრი ორადაა გაყოფილი: ერთნი მრავალცოლიანობას დანაშაულად მიიჩნევენ, მეორენი — მრავალცოლიანობის დაშვებას ადამიანის უფლებათა დაცვას უთანაბრებენ.

„KABKAZ-ПРЕСС"

ვლადისლავ არძინბა შეხვდა რუსეთში მყოფ აფხაზ მეწარმეებს

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრესცენტრის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი ვლადისლავ არძინბა, რომელიც მოსკოვში იმყოფება, შეხვდა თანამემამულეებს, რომლებიც რუსეთში სამეწარმეო საქმიანობით არიან დაკავებულნი. არძინბამ მოუწოდა მათ კოორდინაცია გაუკეთონ მთელ ფინანსურ შესაძლებლობებს, რათა დახმარება გაუწიონ მოსკოვში მოქმედ. საინფორმაციო, პოლიტიკურ და სხვა სტრუქტურებს.

იბერია

ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები მოსკოვში

გუშინ დასრულდა საქართველოსა და აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციათა შეხვედრა მოსკოვში. შეხვედრის მიზანი იყო, თანამშრომლობის დამყარება და პრობლემის ერთადერთ გადაწყვეტაზე მუშაობა. შეხვედრის ჩატარების ინიციატორი გახლავთ, თბილისის კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებათა სტრატეგიის ცენტრის დირექტორი, პროფესორი გიორგი ხუციშვილი. შეხვედრა დაფინანსა საერთაშორისო ორგანიზაცია „International Allert"-მა. ყოველი მხრიდან, მოლაპარაკებებში 6-6 ადამიანი მონაწილეობს.

მოსკოვიდან მიღებული ინფორმაციით, მიღწეულ იქნა შეთანხმება აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციებსა და თბილისის კონფლიქტოლოგიის ცენტრს შორის ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის თაობაზე.

BS-PRESS

კორუფცია — ერთადერთი სახელმწიფოებრივი გამოცდილება, რაშიც გერმანია უიმედოდ ჩამოგვრჩა

საქართველოს პარლამენტის დეპუტატებთან გერმანიის პრეზიდენტის შეხვედრა უაღრესად საქმიან და თბილ ატმოსფეროში მიმდინარეობდა. დოქტორი ჰერცოგი საკმაოდ ენანყლიანი მოსაუბრე და სიტყვამოსწრებული ადამიანი აღმოჩნდა. მისმა ერთმა თეზამ კარგად დაგვანახა, რომ მხოლოდ თეორიული სწრაფვა სამართლებრივი სახელმწიფოებრიობისაკენ და ევროპული ცივილიზაციისკენ პგავს მცდელობას ჩვილისას, რომელსაც გენეტიკური კოდი აიძულებს სიარულს, მაგრამ ნაბიჯის გადადგმას ვერ ბედავს.

ვიდრე ჭეშმარიტად სახელმწიფოდ ჩამოვყალიბდებით, კიდევ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ, არაერთი სენი და მანკიერება უნდა დავძლიოთ. ამ უკანასკნელთაგან კი, უპირველესი, უდავოდ, კორუფციაა, რითაც, როგორც ჩანს, ევროპაშიც სახელი დაგვიგდია.

ქართველ დეპუტატებთან შეხვედრისას, პრეზიდენტ ჰერცოგს საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა გიორგი ბარამიძემ სთხოვა, იქნებ კორუფციასთან ბრძოლის გერმანული გამოცდილება გაგვიზიაროთო.

დოქტორმა ჰერცოგმა ამ თხოვნას, მცირე პაუზის შემდეგ, დიპლომატიური დელიკატურობით უპასუხა: „ვერაფრით დაგეხმარებით, რადგან გერმანიას კორუფციასთან ბრძოლის გაცილებით ნაკლები გამოცდილება აქვს, ვიდრე საქართველოს".

შეხვედრის ბოლოს კი, როდესაც პრეზიდენტს საჩუქრად გადასცეს წმინდა გიორგის ხატი, დოქტორი ჰერცოგი კიდევ ერთხელ დაუბრუნდა ამ თემას და ამით, თითქოს სცადა, ჩვენი დეპუტატებისთვის ქვეყნის მთავარ სატკივარზე მიეთითებინა. საჩუქრის მიღების შემდეგ მაღალმა სტუმარმა ბრძანა:

„ურჩხული, რომელსაც ფეხქვეშ ქელავს და ანადგურებს გიორგი ძლევამოსილი — აი, სწორედ ეს არის კორუფცია!"

ვისაც სურს სიმბოლურად გაიაზროს ეს სიტყვები, ვისაც სურს — მეგობარი ქვეყნის პრეზიდენტის გულწრფელ რჩევად, მთავარი კი ის არის, რომ გერმანიის პრეზიდენტმა ჩვენი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის მთავარ კალატოზებს ზუსტად მიუთითა იმ შლამზე და ტალახზე, რომელიც დღეს დუღაბს ერევა, მალე (თუ ასე გაგრძელდა) ქვიტკირს ნყლად აქცევს და კედლებიც თავზე დაგვეცევა.

პაატა ვეშაპიძე

გუშინ გერმანიის პრეზიდენტი დოქტორი ჰერცოგი და მისი თანმხლები პირები საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ეწვივნენ

მასალა ვიზიტის მსვლელობის შესახებ იხილეთ მე—2 გვ.

ონი-ცხინვალის გზა გახსნილია, თუმცა მას ჯერ უხიფათო არ ეთქმის

10 ივნისს, დაახლოებით 11.00.-დან 12.00. სთ-მდე, ონი-კვაისის მიმართულებით მიმავალ ავტომანქანას წინ გადაუდგა ორი ნიღბიანი, ავტომატებით შეიარაღებული ახალგაზრდა. მძღოლმა მაშინვე მოაბრუნა ავტომანქანა უკან. მისი თქმით, მოხდა რამდენიმე გასროლა, შესაძლებელია, ჰაერში.

მოგვიანებით, ამ ფაქტის გასარკვევად კვაისაში ჩავიდა ონის პოლიციის უფროსი ვახტანგ ჯაფარიძე. იგი შეხვდა კვაისის მილიციის სამმართველოს უფროსს გასპარ ჯიოევს.

გ.ჯიოევმა განაცხადა, რომ იგი 6 წუთის დაგვიანებით თავად შეეხვედრა ამ ფაქტს. უკან მობრუნებულმა მძღოლმა გააფრთხილა იგი, რომ გზაზე საშიშროება იყო და უკან გაბრუნება ურჩია. მაგრამ ჯიოევმა გზა განაგრძო და დაინახა, თუ როგორ გარბოდა ხეებში ორი ნიღბიანი ახალგაზრდა.

ვ.ჯაფარიძემ თხოვა მათ დროულად გაერკვიათ, რა შემთხვევას ჰქონდა ადგილი. ეს იყო ამ რეგიონში მოქმედი ბანდიტური ჯგუფის გამოხდომა, თუ პროვოკაცია.

კორესპონდენტთან საუბარში ა.ხუგაევმა განაცხადა, რომ მისი აზრით, ეს არასრულწლოვანთა უაზაღური თავდასხმის მცდელობა იყო. ვ.ჯაფარიძე კი არ გამორიცხავს გზაზე არსებული სიტუაციის ხელოვნურად დაძაბვის იმიტაციას.

ოსური მხარე მოითხოვს გასამრჯელოს დაწესებას ავტობუსების გამცილებელთათვის

ონის პოლიციის უფროსმა ვახტანგ ჯაფარიძემ განაცხადა, რომ რამდენიმე დღის წინ, მან მიიღო ჯავის პოლიციის უფროსის დუდაევის წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ ონი-ცხინვალი-გორის საავტომობილო გზაზე უსაფრთხო მგზავრობისთვის, ავტობუსებზე აუცილებელია პოლიციის თანამშრომელთა დაცვის დაწესება, რისთვისაც, გასამრჯელოს გადახდის მიზნით, მგზავრობის ღირებულება შედარებით ძვირი იქნება. ვ.ჯაფარიძემ უპასუხოდ დატოვა ეს წერილი. მისივე თქმით, არ არის გამორიცხული, რომ 10 ივნისს, აღნიშნულ გზაზე მომხდარი ინციდენტი (შეიარაღებული პირების გამოჩენა) ამ მიზანს ემსახურებოდა.

იბერია

მხოლოდ პური გაძვირდება?

12 ივნისის პარლამენტის სხდომაზე, პურზე ფასების ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით, მოწვეული იყვნენ ხელისუფლების წარმომადგენლები. ბაკურ გულუას განცხადებით, 10 ივნისს, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ მიანოდა პარლამენტს ინფორმაცია, პურზე ფასების განთავისუფლების თაობაზე. აღინიშნა, რომ დღეს უფრო იმედის მომცემი მდგომარეობაა, ვიდრე ათი დღის წინ იყო. პირველად იწყება ბაზრის რეგულირების პროცესი, რომელიც იძულებითია, მაგრამ გარდაუვალი. დიდი ძალისხმევის შედეგად მოხერხდა რესურსების მანევრირება. განსაკუთრებული ზრდა ფასებისა 15-16 ივნისისთვის მოსალოდნელი არ არის. 42 თეთრად ღირებული პური 56 თეთრი ეღირება, ხოლო 800 გრამიანი პური — 45 თეთრი. ქუთაისში კი ფასები 3-4 თეთრით უფრო დაბალი იქნება. სახელმწიფოს მხრიდან კერძო სექტორისადმი ნდობის ფაქტორი უნდა ამუშავდეს — ის, რაც მოხდა ამერიკაში 30-იან წლებში.

თენგიზ გაზდელიანის თქმით, სოციალურად დაუცველი ფენებისადმი პენსიების გაცემა შეუფერხებლად მოხდება. ამჟამად გადარიცხულია 8,5 მილიონი ლარი. თბილისში პრობლემა არ არის. რაიონებში კი, თუ რაიმე სირთულეები შეიქმნება, მაღორიტარი დეპუტატები მიანვდიან, ალბათ, ინფორმაციას შესაბამის უწყებებს. დავით იაკობიძემ პურის გაძვირებასთან დაკავშირებულ კომპენსაციაზე ლაპარაკი არასწორად მიიჩნია, რადგანაც საუბარი უნდა ყოფილიყო ხელფასებისა და პენსიების ზრდაზე. მისი აზრით, პურზე ფასების ზრდას არა ლიბერალიზაცია, არამედ საერთაშორისო ბაზარზე ხორბლის ფასის ზრდა ინვევს. 9 კილოგრამ პურზე, რაც მოქალაქეთა ერთი თვის სამომხმარებლო კალათში შედის, მატება 144 თეთრია, გაჩნდა კითხვა, თუ რა ეშველ`ოდა იმ ხალხს, ვიდაც 4-5 თვის მანძილზე ხელფასი არ აუღია (მარტო ქალაქიათურაში 7 ათასი კაცი ყოფილა უხელფასო შვებულებაში)? ვინ აიღებს პასუხისმგებლობას იმაზე, რომ პურის ლიბერალიზაციას არ მოპყვება უმართავი პროცესები? დეპუტატ ბესარიონ ჯუღელის თქმით, ეკონომიკის მინისტრის სიტყვები იმის თაობაზე, რომ ფასები არ აინევს, საჭიროა, დაფიქსირდეს, რადგანაც ასე ამბობდნენ ბენზინზეც, მაგრამ მაინც გაძვირდა. ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კი განმარტა, რომ ბენზინზე ფასების ზრდა მოსალოდნელი იყო, რადგანაც საერთაშორისო ფასებთან შედარებით, საქართველოში ბენზინი იაფი ყოფილა. ანალოგიური რამ პურთან დაკავშირებით მოსალოდნელი არ არის. გამომსვლელმა პასუხისმგებლობის საკითხი წამოწია წინა პლანზე. ქვეყანამ უნდა შექმნას პირობები, რომ კატაკლიზმები არ მოხდეს. მიხეილ ჯიბუტის თქმით, მთავრობა ცდილობს, „შიშველი ხელებით გადაეფაროს ამბრაზურას..."

იხილეთ მე 2 გვ.

აფეთქება მოსკოვის მეტროში

სამშაბათს, 21 საათსა და 12 წუთზე მოსკოვის მეტროში, სადგურებს — „ტულსკაიასა" და „ნაგატინსკაიას" შორის გადასასვლელ ხაზზე, შემადგენლობის მე-5 ვაგონში მოხდა აფეთქება.

ასაფეთქებელი მოწყობილობა ვაგონის სავარძლის ქვეშ იყო ჩამონტაჟებული. დაიღუპა ოთხი ადამიანი, დაიჭრა თორმეტი, რომელთა მდგომარეობა კრიტიკულია.

საქმის ვითარების გასარკვევად შემთხვევის ადგილზე მივიდა მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი, რომელიც გაეცნო მდგომარეობას და განაცხადა, რომ გაირკვევა აფეთქების მიზეზები, მიზანი და დამნაშავენი დაისჯებიან.

გუშინ, დილის ექვს საათზე, მეტროში მოძრაობა განახლდა. მომხდართან დაკავშირებით კი აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

დამოუკიდებლობის დღე

გუშინ რუსეთმა აღნიშნა ეროვნული დღესასწაული, 12 ივნისი — დამოუკიდებლობის დღე.

ექვსი წლის წინ რუსეთის საბჭოთა ფედერალური სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ თითქმის ერთხმად მისცა ხმა რუსეთის სახელმწიფო სუვერენიტეტის დეკლარაციას, რომლის საფუძველზეც რუსეთი საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოვიდა.

10 პრეზიდენტობის კანდიდატი დარჩება?

რუსეთის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განცხადება წარადგინა ომან ტულეევმა და მოიითხოვა, მოხსნან იგი პრეზიდენტობის კანდიდატობიდან. როგორც ცნობილი გახდა, ასეთი „მსხვერპლი" სახალხო-დემოკრატიული ძალების წარმომადგენლის, კომუნისტი გენადი ზიუგანოვის სასარგებლოდ გაიღო.

რუსეთის პრეზიდენტის არჩევნებამდე სამი დღე დარჩა

ქვეყანაში, სადაც გაცხარებული წინასაარჩევნო პერიოდია, ყველა მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო მოვლენა, პირდაპირ და ირიბად, სწორედ, არჩევნებს უკავშირდება. [illegible] ბორის ელცინი. [illegible] — 14 ივნისი [illegible] ერთი [illegible] — 14 ივნისი [illegible] ამ დღეს რუსეთი ხსოვს შემადგენლობიდან [illegible] მეორე უსიამოვნო — აფეთქება მოსკოვის მეტროში, რომელსაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა.

როგორც ერთი, ისე მეორე მოვლენა, რასაკვირველია, მოლიტიკოსთა ყურადღების ცენტრში მოექცა. პრეზიდენტობის კანდიდატთა მომხრეებმა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი მიტინგები მოაწყვეს, რომლებზეც თავად პრეტენდენტებმა გამოსვლეს. ელცინმა, ზიუგანოვმა, ტულეევმა, ალექპეროვმა, ლებედმა, ბაბურინმა, ტელევიზიებთან ინტერვიუ, ინტერვიუ, ინტერვიუ. ელცინმა სამძიმარი გამოუცხადა დალუპულთა ოჯახებს.

არც „ოსი" კომუნისტების წინასაარჩევნო შტაბის ინიციატორები გამოირჩეოდნენ „ფანტაზიის" [illegible] ბლომად მხარდამჭერი ჰყავს ბიზნესმენებს შორის — მათი საერთო რაოდენობის 66,1 პროცენტი, ზიუგანოვს — პენსიონერებს შორის — მათი საერთო რაოდენობის 34,1 პროცენტი.

პრეზიდენტობის კანდიდატები	ხმათა რაოდენობა პროცენტებში			
	16.03. 1996 წ.	16.04. 1996 წ.	16.05. 1996 წ.	08.06. 1996 წ.
1. ვ.ბრიანცალოვი	—	—	0,2	0,3
2. ი.ვლასოვი	—	—	0.6	0,5
3. მ.გორბაჩოვი	1,2	1,1	1,0	1,0
4. ბ.ელცინი	17,0	23,8	35,2	37,8
5. ვ.ჟირინოვსკი	8,1	8,5	6,1	4,7
6. გ.ზიუგანოვი	25,8	28,0	22,4	23,3
7. ა.ლებედი	7,8	10,3	7,4	9,3
8. ა.ტულეევი	3,6	3,5	3,1	2,5
9. სვ.ფიოდოროვი	7.6	6,7	5,6	3,2
10. მ.შაკუმი	—	—	0,9	1,8
11. გ.იავლინსკი	13,2	12,7	14,5	10,7

პრეზიდენტო არჩევნებთან. თან მიუთითებენ, რომ ეს არც ელცინს და არც ზიუგანოვს არ სჯერდებათ.

რასაკვირველია, აქტივ ში ერთი-ორი ქუთის ჩაწერა ზემოაღნიშნული სავალალო ფაქტის მკაცრი კრიტიკითაც შეიძლება, მაგრამ, ალბათ, საზოგადოებრივი აზრის მკვეთრ და რადიკალურ შეცვლას ვერ გამოიწვევს. ერთ-ერთი ბოლო სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგების მიხედვით კი, პირველ ტურში ელცინს ამომრჩეველთა 37,8, ზიუგანოვს — 23,3 პროცენტი მისცემს ხმას. ელცინს მომხრეთა ყველაზე მეტი რაოდენობა მოსკოვში ჰყავს — 56,6 პროცენტი. ზიუგანოვს ჩრდილოეთ კავკასიაში — 31,4 პროცენტი. რუსეთის ამჟამინდელ პრეზიდენტს

პროცენტულ მაჩვენებელთა დინამიკის ცვლილება ელცინის სასარგებლოდ აშკარაა. თუმცა, მაჩვენებლები არც ისე სახარბიელოა. მიუხედავად ამისა, ელცინი ირწმუნება, რომ ზიუგანოვს პირველივე ტურში დაამარცხებს. ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, იგი ზედმეტადაა დაჯერებული თავის შესაძლებლობებში, კომუნისტთა წინამძღოლი კი ძალიან ბევრს საუბრობს არჩევნების შედეგების ფალსიფიცირებაზე. ეტყობა, ეს მათი ერთგვარი ტაქტიკა, რომელმაც გარკვეული ფსიქოლოგიური ზემოქმედება უნდა მოახდინოს ელექტორატზე.

ნუნუ ჯაფარიძე

ტრაგედია თავიდან იქნა აცილებული

საგენტოს კორესპონდენტის ცნობით, დღეს ნაძალადევის რაიონში, გუდამაურის ქუჩის მე-18 8-სართულიანი კორპუსის ერთ სადარბაზში 1-დან მე-7 სართულის ჩათვლით, ჩამოინგრა მიშენებული ლოჯები.

როგორც საგენტოს კორესპონდენტთან საუბარში ქალაქის პოლიციის სამმართველოს უფროსმა დემურ მიქაძემ განაცხადა, ბზარები მიშენებულ ლოჯებზე გაჩნდა 11 ივნისს. მოსალოდნელ შედეგებზე მოსახლეობა წინასწარ იყო ინფორმირებული. დროულად მიღებული ზომების მეშვეობით მსხვერპლი არ ყოფილა.

ეფრინდა

თავდასხმა

გუშინ 12 ივნისს, დაახლ. 7 საათსა და 25 წუთ[illegible] „ბოროცკინსკაია" სამმა [illegible] ბორბალ [illegible] ამავე ტერიტორიაზე, ვალუტის გადამცვლელ ერთ-ერთ პუნქტში მომუშავე (აფხაზეთიდან ლტოლვილ) რ.კაკუტიას, როდესაც იგი საერთო საცხოვრებლიდან გამოდიოდა.

როგორც თვითმხილველები ამბობენ, თავდასხმა მოხდა ფულის გამოძალვის მიზნით.

დაჭრილი ძმიმე მდგომარეობაში გადაიყვანეს რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

საღამოსთვის რ.კაკუტიას მდგომარეობა კვლავ ძმიმე იყო.

საკ. ინფორმაცია

თურქეთის ვიზების რაოდენობა გეომეტრიული პროგრესიით იზრდება

საქართველო-თურქეთის საელჩოს მიერ გაცემული ვიზების რიცხვი გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. 1993 წელს გაიცა 4258 ვიზა, 1994 წელს — 10384, 1995 წელს — 24710. წლეულადელი წლის დასაწყისიდან უკვე გაცემულია 6 ათასი ვიზა.

თურქეთის საგენტო და სრულფასოვნებისა ელჩია საქართველოში უფოქ თევფიქმა განაცხადა, რომ ამ მონაცემებში არ აისახება ბათუმში განლაგებული თურქეთის საკონსულოს სტატისტიკა, საიდანაც, ორჯერ ამაზე მეტი ვიზა გაიცემა.

BS-PRESS

საქართველო გერმანიის ინტერესების სფეროში შედის

გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ზურაბ ჟვანიამ, გერმანიის პრეზიდენტი რომან ჰერცოგი მიიღო. შეხვედრას პარლამენტის ბიუროს წევრები ესწრებოდნენ. აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთსა და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების განსაზღვრისას რომან ჰერცოგმა განაცხადა, რომ საქართველო [illegible] გერმანიის ინტერესების სფეროში შედის. მისი თქმით, საქართველოში სტაბილური სიტუაციის დამყარებაზე [illegible] დამოკიდებული [illegible] ბოლოს, [illegible] მთავრობა ზედმეტად ლოიალურია რუსეთთან ურთიერთობაში.

BGI

ბათუმის პორტი მთელი დატვირთვით ამუშავდა

უნგრელი სპეციალისტები ამთავრებენ სამონტაჟო სამუშაოებს ბათუმის პორტის მე-9 მისადგომზე. მისი ექსპლოატაცია 2 კვირის შემდეგ დაიწყება.

მიუხედავად, ერთ-ერთი მისადგომის გაუმართაობისა, ამ წელს ბათუმის პორტში დამუშავეს 87 ათასი ტონა ტვირთი და 109 ათასი ტონა ნავთობპროდუქტები, — განაცხადა პორტის უფროსმა ასლან სმირნამმისი თქმით, დღეს პორტი მთელი დატვირთვით მუშაობს. პორტის გაკმაურების მიზეზი გახდა, ტვირთის დამუშავებაზე ფასების დაწევა. ნავმისადგომის წინა ხელმძღვანელობა კომპრომისზე არ მიდიოდა და გემები ბათუმში არ ცლიდნენ ტვირთს.

ყველა ზომის ქათამი 5 ლარად

აჭარის დედაქალაქის ახალი ადმინისტრაცია აგრძელებს მოქმედებას ქალაქში წესრიგის დასამყარებლად. ერთ-ერთი აქცია, რომელიც ამ მიზნით განხორციელდა, გახდა 272-დან 207 ცენტრალური ბაზრის კონტროლიორის და პოლიციელის სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზი. ამით მერიამ დასრულა „ბაზრის მაფიასთან" ბრძოლა და მტკიცე ჩანი აღმართა გამყიდველების წინ.

მერიამ მიიღო, ასევე, გადაწყვეტილება, რომელმაც წესით უნდა წაახალისოს ადგილობრივი მეწარმეები. ბაზარში აიკრძალა თურქეთიდან შემოტანილი ხახვი, კარტოფილითა და რძის პროდუქტებით ვაჭრობა.

კიდევ ერთი სიახლე — ბათუმის ბაზარში, ყოველდღე, დილის 7 საათზე, სპეციალურ ტაბლოზე, დაფიქსირებული იქნება მაქსიმალური ფასების ზღვარი. მაგალითად, გუშინ ერთი კილოგრამი ხორცის მაქსიმალური ფასი უნდა ყოფილიყო 3 ლარი, ხოლო ერთი „ოჯახის" ქათმისა — 5 ლარი.

BS-PRESS

როსტომ ჯაფარიძე კვლავ აჭარის პროკურორია

აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრი როსტომ ჯაფარიძე ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორად დაინიშნა, ანუ თავის ძველ თანამდებობას დაუბრუნდა. მან განაცხადა, რომ ამ მოვლენას აღიქვამს, როგორც დაწინაურებას, რადგან პროკურატურა ზედამხედველობას უწევს შსს-საც და უშიშროების სამსახურსაც, ამასთან მისი გადაყვანა ერთი თანამდებობიდან მეორეზე, სახელმწიფოებრივი აუცილებლობით იყო გამოწვეული.

BGI

ვიზიტი

გერმანიის პრეზიდენტი საქართველოს ეცნობა

გუშინ, 12 ივნისს, დახურულ კარს მიღმა შედგა საქართველოს და გერმანიის ფედერაციული სახელმწიფოს პრეზიდენტების შეხვედრა.

ამ შეხვედრის შემდეგ ჯორ-ს პრეზიდენტმა ბრძანა, რომ განიხილულ იქნა ორმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივები და ვიფიარება ამიერკავკასიაში. ედუარდ შევარდნაძე ოფიციალური ვიზიტით მოწვეულია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

გუშინვე, ჯორ-ს სამთავრობო დელეგაცია ქვეყნის პრეზიდენტმა რომან ჰერციგის მეთაურობით საქართველოს პარლამენტს, თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მიიღო. შეხვედრაზე პარლამენტის კომიტეტების და ფრაქციების ხელმძღვანელებიც მონაწილეობდნენ.

„დღეგანდელი დღე ცხადყოფს იმ როლს, რომელსაც გერმანია ასრულებს დემოკრატიული საქართველოს ფორმირებასა და მისი ეკონომიკის განვითარებაში", — განაცხადა შეხვედრაზე ზურაბ ჟვანიამ. მისი სიტყვების თანახმად, მოცემულ ეტაპზე საჭიროთვალსაზრისით მიაღწია მთავარს — შექმნა სტაბილური პოლიტიკური სტრუქტურა და სახელმწიფოს მმართველობის კონსოლიდირებული გუნდი. საქართველოს უმთავრეს პრობლემად კვლავ კონფლიქტების მოწესრიგების საკითხი რჩება.

„გერმანია დაინტერესებულია საქართველოს და ამიერკავკასიის სხვა ქვეყნების დემოკრატიული განვითარებით", — განაცხადა შეხვედრაზე ჯორ-ს პრეზიდენტმა. ამასთან, მან თავისი ქვეყნის სახელით საქართველოს ყველა სფეროში აქტიური თანამშრომლობისთვის მზადყოფნა აღუთქვა.

გერმანიის პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში გუშინვე ხელი მოეწერა შეთანხმებას გერმანიის მხრიდან საქართველოს ენერგოსისტემის რეაბილიტაციისთვის ფინანსური დახმარების შესახებ. ხელმოწერილი დოკუმენტის შესაბამისად, საქართველო გრძელვადიანი კრედიტის სახით 50 მილიონ გერმანულ მარკას მიიღებს.

გუშინვე, ერთობლივ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტებმა ედუარდ შევარდნაძემ და რომან ჰერცოგმა მაღალი შეფასება მისცეს ვიზიტის შედეგებს.

„ჯორ-ს პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში ახალი ეტაპია ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობათა განვითარებაში", — ბრძანა ედუარდ შევარდნაძემ. მისი სიტყვების თანახმად, გერმანიის მხარდაჭერა საქართველოს შრავალი განაცხადელის დაძლევაში დიდსმარა. საქართველოს პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ 1992 წ. საქართველოში ჰანს დიტრიხ გენშერის ვიზიტმა განსაკუთრებული როლი შეასრულა დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო აღიარებაში. ამას მომყვა დეკლარაცია თანამშრომლობის შესახებ და 12 სამთავრობათაშორისო შეთანხმება, რომლებიც საფუძვლად დაედო ორმხრივ ურთიერთობებს. გერმანიის მხრიდან საქართველოსთვის პირდაპირმა დახმარებამ ბოლო წლებში 150 მილიონი გერმანული მარკა შეადგინა. ამის გარდა, გერმანია საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციების ხაზითაც ეხმარება.

„ჩვენი დელეგაციის ვიზიტი საქართველოში იმ პოლიტიკას ასახავს, რომელსაც გერმანია ატარებს მეგობარი ქვეყნების მიმართ", — განაცხადა ჯორ-ს პრეზიდენტმა რომან ჰერცოგმა. მან აღნიშნა, რომ კავკასიის რეგიონის ყველა ქვეყანაში გერმანია მხარს უჭერს დემოკრატიულ პროცესებს და სტაბილურობის დამყარებას, რაც ეკონომიკის განვითარების აუცილებელი პირობაა. „ჩვენს ინტერესებს შეესაბამება საერთაშორისო და საკუთარი ეკონომიკური პროექტების რეალიზაცია საქართველოში მას შემდეგ, რაც ქვეყნის ეკონომიკა გერმანიის დახმარებით „ფეხზე დადგება", — განაცხადა გერმანიის პრეზიდენტმა. მანვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ „გერმანია არასოდეს დაუჭერს მხარს სახელმწიფო საზღვრების შეცვლას ძალადობის გზით. შინაგანი წინააღმდეგობების შემთხვევაში გერმანიას ჩაურევლობის პოზიცია უჭირავს, მაგრამ აუცილებლად იტყვის თავის სიტყვას, თუ გარე საზღვარი დარღვევა".

„მსოფლიო მშვიდობა არ იყო ცივი ომის დამთავრებისთვის, რამაც მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში სეპარატისტული მოძრაობის აფეთქება გამოიწვია", — განაცხადა პრესკონფერენციაზე საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. ამასთან, მან აღნიშნა, რომ ბოლო ხანს საერთაშორისო თანამეგობრობის გაჩაქუფრება შეინიშნება ამ საკითხის მიმართ, რასაც იუგოსლავიაში სამშვიდობო ძალების მოქმედება ადასტურებს.

სასამართლო

პროცესი გადაიდო

მოწმეების გამოუცხადებლობის გამო ქობალიას, ბოკუჩავას, ძიძიგურისა და მოლოდინაშვილის სასამართლო პროცესი გადაიდო. იგი განახლდება ხვალ 14 ივნისს.

„კავკასიონი"

ეუთო-ს ახალი გენერალური მდივანი

საქართველოში ეუთო-ს მისიის პრესცენტრის ცნობით, 8 ივნისს ელჩი ჯანკარლო არაგონა (იტალია) დაინიშნა ეუთო-ს ახალ გენერალურ მდივად. იგი ეუთო-ს მინისტრთა საბჭოს სახელით დანიშნა შვეიცარიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ეუთო-ს თავმჯდომარემ ფლავიო კოტიმ. გენერალური მდივანი, რომლის რეზიდენცია ვენაში მდებარეობს, მოქმედებს როგორც თავმჯდომარის წარმომადგენელი. იგი არის ამ ორგანიზაციის ადმინისტრაციული მოხელე და მის ფუნქციებში შედის ეუთო-ს ოპერაციებისა და სტრუქტურების მართვა. იგი თანამშრომლობს ეუთო-ს თავმჯდომარესთან შეხვედრათა მომზადების და მართვის საქმეში, უზრუნველყოფს ორგანიზაციის გადაწყვეტილებათა შესრულებას.

ჯანკარლო არაგონა დაბადა 1942 წლის 14 ნოემბერს ქმესინაში. დამთავრა მესინის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1969 წლიდან იგი იტალიის დიპლომატიურ სამსახურშია. ვენაში, ლაგოსში, რომში, ლონდონში და ბარსელონაში ეკავა დიპლომატიური პოსტები. 1992-94 წლებში იყო იტალიის თავდაცვის მინისტრის დიპლომატიური მრჩეველი. 1994 წელს დაინიშნა საგარეო საქმეთა მინისტრის აპარატის უფროსის მოადგილედ, 1995 წელს კი აპარატის უფროსად. ახალი გენერალური მდივნის სამწლიანი ვადა იწყება 1996 წლის 15 ივნისიდან.

ᲘᲠᲘᲜᲓᲐ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

აზერბაიჯანის ბიუჯეტი ინვესტიციების იმედზეა

საგადასახადო ბალანსში დეფიციტის დაფარვისთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილის გაზრდა 1996 წლის პირველ კვარტალში აზერბაიჯანის ეკონომიკის განვითარების ძირითადი სტიმულია.

როგორც ბაქოს საინფორმაციო სააგენტო ANS-PRESS აზერბაიჯანის ეროვნული ბანკის წყაროებზე დაყრდნობით იუწყება, პირდაპირი ინვესტიციების სტერთო რაოდენობამ 101 მილიონში დოლარი შეადგინა. ეს 22 მილიონით ნაკლებია წარშენდელი ინვესტიციების მოცულობაზე. ინვესტიციების დიდი ნაწილი — 80 მილიონი დოლარი — რესპუბლიკაში შემოვიდა ნავთობის კონსორციუმის ანგარიშზე, დანარჩენები — ადგილობრივი საწარმოების ასამოქმედებლად.

კრედიტებისა და დეპოზიტების სახით მსოფლიო ბანკიდან შემოსულმა არაპირდაპირმა ინვესტიციებმა პირველ კვარტალში 31 მილიონი დოლარი შეადგინა. აქედან თითქმის ნახევარი ზემოაღნიშნული დეფიციტის — 227 მილიონი დოლარის დაფარვაზე გაიხარჯა. ეროვნული ბანკის წარმომადგენლის აზრით, შეუძლებელია ვილაპარაკოთ საგადასახადო ბალანსის დეფიციტის შემცირებაზე, რადგან ამ ციფრმა შარშანდელი ოთხასდოლარიანი დეფიციტის ნახევარი შეადგინა.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი უარყოფს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ თურქეთის ელჩი დროებით ადრე გაიწვიეს ბაქოდან

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ემრე გენანსამ უარყო მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ცნობა იმის შესახებ, რომ ანკარამ დროზე ადრე გაიწვია თავისი ელჩი აზერბაიჯანიდან. როგორც თურქეთის საელჩოს მიერ ბაქოში ANS-PRESS-ის მიერ გადმოცემული პრეს-რელიზშია აღნიშნული, აზერბაიჯანში თურქეთის ელჩი ოორხუნი, რომელსაც დიპლომატიური საქმიანობის გარკვეული სტაჟი აქვს, თურქეთის სახელმწიფოს მნიშვნელოვანი დიპლომატია. ოთხნაბეკარი წლის განმავლობაში იგი იყო თურქეთის ელჩი ოსლოში, რის შემდეგაც წელიწადნახევარია, თურქეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობას ხელმძღვანელობს აზერბაიჯანში. იმის გამო, რომ მას უცხოეთში დიპლომატიური საქმიანობის 6-წლიანი ვადა შეუსრულდა, თურქეთის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, ოორხუნი ანკარაში გაეწვია.

ბაქოში თურქეთის ახალი ელჩია ომერ ფარუნუ ლოგოლლუ, რომელიც აქამდე დანიაში მუშაობდა და ახლა აზერბაიჯანის ხელმძღვანელობისგან აგრემანის (თანხმობის) მიღებას ელოდება.

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ ᲡᲝᲛᲮᲔᲗ-ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲗᲐᲠᲘᲦᲘ

ᲡᲝᲛᲮᲔᲗ-ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ მოლაპარაკებები ფინელი და რუსი დიპლომატების თანათავმჯდომარეობით, 14 ივნისს მოსკოვში გაიმართება. ANS-PRESS-ის ცნობით, კონფლიქტის მხარეები განიხილავენ პრობლემის დარეგულირების საკვანძო საკითხებს, მათ შორის — შუშისა და ლაჩინის დემილიტარიზაციას. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მინსკის მისიამ, რომელიც ასევე დაესწრება მოლაპარაკებებს, მხარეებს შესთავაზა, განიხილონ ძალთა განცალკევების ტექნიკური საკითხები.

მთიან ყარაბაღში სომეხთა ავტონომიური სტატუსის პრინციპები განიხილეს პარიზში სომეხმა და აზერბაიჯანელმა მაღალი თანამდებობის დიპლომატებმა. ამ დონის კონსულტაციებმა, აზერბაიჯანის მხარის აზრით, კონსტრუქციული ხასიათი მიიღო და უახლოეს მომავალში გაგრძელდება.

შეხვედრა მოსკოვში დამთავრდება მთიანი ყარაბაღის მინსკის ჯგუფის სხდომით, რომლის თანათავმჯდომარეებიც 20 ივნისს შეხვდებიან ვენაში, ეგრეთ წოდებული „ეუთოს სამეულის" ეგიდით.

ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲨᲘ ᲛᲖᲐᲓᲓᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ

ერევანში, პრაქტიკულად, დამთავრდა მასობრივი საინფორმაციო საშუალებების შესახებ ახალი კანონის პროექტზე მუშაობა. როგორც სომხეთის იუსტიციის მინისტრმა არმენ ჭანგირიანმა სააგენტო „ფაქტს" განუცხადა, მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენლებს მაღე მიეცემათ პროექტის განხილვის საშუალება.

Кавказ-Пресс

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲦᲘᲡ ᲐᲦᲒᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲘᲡ ᲘᲓᲔᲐ

რუსეთის გაზის მრეწველობის ხელმძღვანელმა რემ ვიახირევმა რუსეთის თხევადი გაზის იტალიაში, ბულგარეთსა და სბერრნეთში ტრანსპორტირებისთვის, ფოთის პორტის გამოყენების იდეა გამოთქვა. ამის შესახებ განაცხადა საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკაშვილმა.

მისი თქმით, პროექტის თანახმად, რომელიც განხილვის სტადიაშია, საუბარი ძალზე დიდ მოცულობებზეა. ამასთან ერთად, რუსეთი მზადაა, დააფინანსოს შესაბამისი ტერმინალის შენებლობა. ამისთვის საჭიროა, შეირჩეს ტერიტორია პორტის მახლობლად.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

საქართველოში უკრაინის საელჩოს პრესსამსახური იუწყება, რომ უკრაინის ის მოქალაქეები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში, ან გადმოვიდნენ აქ საცხოვრებლად, აგრეთვე ისინი, რომლებიც ჩამოვიდნენ დროებით — სასწავლებლად, ნაგრძელივი მივლინებით, ნათესავების მოსანახულებლად და ა.შ. უკრაინის კანონმდებლობის შესაბამისად, ვალდებულნი არიან დადგნენ საკონსულო აღრიცხვაზე.

საკონსულო აღრიცხვა მოქალაქეებს უფლებას აძლევს, მუდმივი კავშირი იქონიონ თავიანთ სახელმწიფოსთან, გაინაწილონ თავისუფლებისა და უფლებების დაცვა, განახორციელონ სახელმწიფოებსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობიდან გამომდინარე სხვა ფუნქციები.

ამავე დროს, საკონსულო აღრიცხვაზე ნებაყრლივი თავშეკავება შედეგად გამო მმიწვევს მოქალაქეობის დაკარგვას.

ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, მოქალაქეთა მიღება უკრაინის საელჩოში იწარმოება ხუთშაბათით, 9.30 საათიდან 16 საათამდე.

მისამართი: თბილისი. დავით აღმაშენებლის პრ., სპექტი № 61, მე-2 სართული.

საქართველოში უკრაინის საელჩოს საკონსულო სამსახური

* * *

საქართველოში მოქმედი უკრაინული საწარმოებისა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების საყურადღებოდ!

საქართველოში მოღვაწე უკრაინის იურიდიულ პირთა უფლებების, ეკონომიკური ინტერესების განხორციელების უზრუნველყოფისა და თავიანთ სახელმწიფოსთან მუდმივი კავშირის დამყარების მიზნით, თქვენ აუცილებლად უნდა დადგეთ საქართველოში უკრაინის საელჩოს აღრიცხვაზე.

მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის პრ., სპექტ № 61, მე-2 სართული. ტელეფონი: 23-71-56

საქართველოში უკრაინის საელჩოს პრესსამსახური.

ᲒᲘᲖᲜᲔᲡᲘ

მეწარმეთა ახალი ინიციატივა

ჩვენი საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია, რომ იქმნება ეკონომიკური თავისუფლებისა და კერძო საკუთრების დაცვის ლიგა. ლიგის შექმნის საინიციატივო ჯგუფის პირველი შეკრება, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინ გაიმართა, რამდენიმე თვალსაზრისით გახდა მნიშვნელოვანი.

ჯერ ერთი, ლიგის შექმნის იდეის გარშემო თავი მოიყარა, თუ შეიძლება ასე ითქვას, წარმატებულ ბიზნესმენთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა, იმ ადამიანებმა, რომელთაც სხვებზე ადრე აუღეს ალღო ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს და საკუთარი ინიციატივით, პირადი პასუხისმგებლობის გრძნობითა და რისკის ფასად წამოიწყეს სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც ოავისი შედეგებით მომგებიანი აღმოჩნდა. საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობა, რომელმაც ცნობილ ბიზნესმენებთან ერთად, თავის რიგებში გააერთიანა თვალსაჩინო მეცნიერები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები, ქვეყნის მომავლით დაინტერესებული საზოგადო მოღვაწეები. ლიგის შექმნის საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელად აირჩიეს ბატონი რომან ფოცირიძე. ყოველივე ეს თავისთავად ქმნის იმედიან განწყობილებას და მომავალში ლიგის წარმატებული საქმიანობის ერთგვარ გარანტიადაც შეიძლება მივიჩნიოთ. ფუბისშიერ საქმეში ხომ წარმატებას პირველ რიგში პიროვნული ფაქტორი განსაზღვრავს.

მეორე მხრივ, ამგვარი ლიგის შექმნის იდეა დრომ მოიტანა. მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა საკუთრების მრავალფეროვანი ფორმები, მას შემდეგ, რაც საქართველოს თითქმის ყოველი მოქალაქე აქციათა მფლობელი გახდა, საჭირო შეიქნა ისეთი არასახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფორმირება, რომელიც დაიცავს კერძო მესაკუთრეთა უფლებებს და საერთო კოორდინაციას გაუწევს კერძო სექტორში დაკავებულ ფირმებს, კოოპერატივებს, აქციებსა და პაიების მფლობელებს.

ეკონომიკური თავისუფლებისა და კერძო საკუთრების დაცვის ლიგა თავის რიგებში ეპატიჟება არა მხოლოდ მსხვილ მეწარმეებს, არამედ ყველა იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს, რომელსაც გარკვეული შიმართება აქვს საკუთრების ამა თუ იმ ფორმასთან და დაინტერესებულია მრომალური ეკონომიკური გარემოს ფორმირებით.

ლიგის შექმნა, ფაქტობრივად, მოწოდებაა ამ ინტერესების მქონე სუბიექტებისთვის. ჩვენ ყველას გვინდა, შეიქმნას ძლიერი კერძო სექტორი. მაშ მოდით, გავაკეთოთ ეს ორგანიზებულად!

დღეს ამისთვის ნიადაგი მზად არის.

რაულ ლაგვილავა მეწარმე

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘ

მხოლოდ პური გაძვირდება?

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მცირე შესვენების შემდეგ პარლამენტმა მოახდინა რატიფიცირება ხელშეკრულებისა „საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთუშიშროების განმტკიცების შესახებ", რომელიც პეიდარ ალიევის ვიზიტის დროს გაბაფორმეს ორი ქვეყნის პრეზიდენტებმა. მიერ გაფორმებული. ასევე, რატიფიცირებულ იქნა ხელშეკრულება „საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ". კიდევ ერთი ხელშეკრულების რატიფიცირება მოხდა — „საქართველოს რესპუბლიკასა და ბულგარეთის რესპუბლიკას შორის მეგობრული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის შესახებ". შემდეგი ხელშეკურელების — „საქართველოს რესპუბლიკასა და ავსტრიის რესპუბლიკას შორის ორმხრივი საგარეო ეკონომიკური კავშირების შესახებ" — რატიფიცირება კი მწვავე კამათის საგნად იქცა. როგორც გაირკვა, ხელშეკრულება საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ 1994 წლის 24 მაისს გაფორმებული. შეთანხმებას 2 წლის ვადა აქონია და აღმოჩნდა, რომ იურიდიულად მას ვადა გასვლია. ეს ეროვნულ-დემოკრატებმა დააფიქსირეს. ითქვა ისიც, რომ საერთოდ, გადასასინჯია ავსტრიის მხარის დამოკიდებულება ჩვენდამი. მაშინ, როცა ყველა ქვეყანასთან მიღწეულ იქნა რესტრუქტურიზაცია, ავსტრიის ბანკისგან 80 მილიონი დოლარის კაბალური ვალი გვქონია. დებატატები დაინტერესდნენ, თუ რატომ ჯაგვიანდა აქამდე ამ საკითხის განხილვა და მფითხოვეს, საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან ამომწურავი ინფორმაციის მიღება. კომიტეტმა კი უნდა შეისწავლოს ეს საკითხი. და კვირის ბოლოს დააყენოს რატიფიცირების საკითხი, თუკი ეს შესაძლებელი იქნება. მიუხედავად საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის მცდელობისა და ჯონი ხეცურიანის განმარტებებისა, გადაწყდა, რომ საკითხის კენჭისყრაზე გატანა და მისი მოსალოდნელი ჩავარდნა ცუდ რეზონანსს გამოინეევდა, ამიტომ ის გადაიდო. „ორი წელი დაგვიცდია და ორი დღეც დავიცადოთო", — იყო მამუკა გიორგაძის რეპლიკა.

საღამოს სხდომა კვორუმის უქონლობის გამო გვიან დაიწყო. უნდა ითქვას, რომ არც დილის სხდომაზე გამოუჩენიათ აქტიურობა პარლამენტარებს ისეთ საჭირბოროტო საკითხზე, როგორიცაა პურზე ფასების ლიბერალიზაცია. დღის წესრიგში დადგა კანონპროექტი „მონოპოლიური საქმიანობის და კონკურენციის შესახებ", რომელიც ეკონომიკური რეფორმებისა და პოლიტიკის კომიტეტმა წარმოადგინა. კანონპროექტის მუხლობრივი განხილვა გაგრძელდა. სხდომის თავმჯდომარემ ნახევარი საათით მოითხოვა განხილვის გაგრძელება. კენჭისყრის შედეგად, ერთი ხმის უპირატესობით „არანორმირებული სამუშაო დღის წინააღმდეგნი" აღმოჩნდნენ ფაპუტატები.

საკითხი უცხოეთის სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრებთან ურთიერთობის შესახებ, რომელიც უნდა განხილულიყო (წინა დღეს იგი მწვავე კამათის საგანი იყო და ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება კანონის თუ დადგენილების სახით მიეღოთ კანონპროექტი), პარასკევისთვის იქნა გადატანილი. ამ დღისთვის ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტაა გათვალისწინებული. ასე რომ, პარასკევი მძიმე დღეა.

ᲒᲘᲐ ᲑᲐᲘᲜᲓᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

მართალი უთქვამთ ჭარმაგ ხევსურებს

ჭარმაგი ხევსურებისგან გამიგონია — „ცოდვიანია არაგვი". ვინ იცის, რამდენი ლამაზი სიცოცხლე ჩაუხვევია მის მდინარებას.

უქალოდ შეისუდრა არღუნის ხეობაში ზურაბ ჯაფარიძის თოლციანი ბილიკები. გავიდა ხანი.

ვარდობისთვე. არაგვს ძლივს გამოვეგლეჯეთ ნაწამებე მისი სხეული. მაინც არ იკმარა, — ეცოტავა ერთი პოეტის სისხლი.

მოუთმენელმა ბედისწერამ მთებისაკენ გაიყოლა ხევსური პოეტი კობა ჭინჭარაული. იგი ყოველთვის მამა-პაპეულ კერას მისტიროდა, მათ ნაშუხლარებს. მოსვენებას არ აძლევდა გმირი წინაპრის, „მურათ-ბაჭიურას" ხალოცაოად ქმნილი სამარე. როგორც იტყოდა, ტკბილი-ზამანებანარევი ძილით მხოლოდ მთაში იძინებდა, იქ ისვენებდა.

უკუნ ღამეში ბედისწერამ აყეფებული არაგვის პირისპირ დატოვა.

ვინ...ბცის, რამდენ ხანს ებრძოდა არაგვს და სიკვდილს. ვინ იცის, იქნებ მისი ბოლო წამოძახილიც მისივე ლექსის რომელიმე ძარღვიანი სტრიქონი იყო. ან იქნებ ოთხი პატარა ქალიშვილის ციმციმა სახეების გაელვება..

მართალი უთქვამთ ჭარმაგ ხევსურებს — „ცოდვიანი ყოფილა არაგვი!" „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი"...

ᲑᲘᲝᲠᲑᲘ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ, 8. VI. 96 ᲬᲚᲘ



ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲨᲝᲡᲢᲐ

«ᲐᲛᲐᲡ ᲕᲬᲧᲘᲜᲝᲑ, ᲐᲕᲜᲘ ᲐᲕᲡᲐ ᲗᲕᲘᲗ ᲘᲥᲛᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲡ ᲙᲘ ᲡᲫᲠᲐᲮᲕᲔᲜ»

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ

უზნეობა? საიდან? აკი უფალი გვასწავლის, რომ ბაგით, რომლითაც ლოცვას აღვავლენთ, არ შეიძლება აღმოვთქვათ წყევლა. ნუთუ ადამიანებს იმავე ხელით, რომლითაც ლოცვისას პირჩვარს იწერდნენ, უფლება აქვთ, მოკლან კაცი და ამისთვის არ მოეკითხებათ? მე ჩემთვის არაფერს ვითხოვ, მე მთელი ცხოვრება მკლავენ, მაგრამ ღვთის ნებით ჯერ ცოცხალი ვარ. ცოცხალი ვარ არა იმიტომ, რომ ვსუნთქავ, ვჭამ და მძინავს, არამედ იმიტომ, რომ ვშრომობ, ვშრომობ შინ და გარეთ და მადლობელი ვარ უფლისა, რადგან მომცა ამის უნარი. ადამიანი ვერ წამართმევს იმას, რაც ღმერთმა მიბოძა, ამიტომ ვარ მინდობილი მის ნებას. რეჟისორმა წამართვა როლი, რადგან არ მომცა იგი (თავისი კაცისთვის უნდა მიეცა და აღარ დარჩა ჩემთვის), მაგრამ ვერ წამართვა შოთა, ვაჟა, აკაკი, ილია, გალაკტიონი, ტერენტი, ლადო, ანა, მუხრანეი, მურმანი, ოთარი..., რადგან ისინი ჩემთან არიან, ჩემს სულსა და გონებაში სახლობენ და მშვიდიან ყველგან და ყველაფერში. მიელნინ — ჩემთან ერთად მღერიან და მტირალსაც ცრემლს ისინი მიმშრალებენ. შემომძახებენ, შემომწყრებიან და მეც თავს მაღლა ვწევ, თვალს გავუსწორებ ყველას და განვაგრძობ ცხოვრებას ჩვეული მოთმინებით.

მოთმინებით ვარ, მაგრამ მოთმინებასაც საზღვარი ჰქონია, რადგან კაცთა დაუნდობლობასაც არ აღმოაჩენდა იგი. რა საშინელი ყოფილა, როცა იმაში გადანაშაულდებენ, რაშიც შენ იოტასოდენა ბრალი არ მიგიძღვის.

